ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2964217

ნომერი: AR1459006

თარიღი : 24.11.2016

გაცემის თარიღი : 28.11.2016

გაცნობის თარიღი : 28.11.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 79 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 77 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა მოდრეკილაძე პ/ნ 01023007690
- თბილისი ნ.ბუაჩიძის ქ. N 4 ბ. 11

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

#AR1459006 24.11.2016 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ სამსახურის მიერ დადგენილ #2721033 28.07.2016 ბრძანებაში - მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები - ცვლილების განხორციელებას, კერძოდ გაცემული ადმინისრაციული აქტიდან შენიშვნის: შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე განისაზღვროს 15 მეტრით"-ამოღებას გაცნობებთ, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.10.12.031.048 ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), სადაც ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 გადაწყვეტილების მუხლი 16-ის შესაბამისად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისთვის და სასტუმროსთვის დადგენილია შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე 15 მეტრი, შესაბამისად აღნიშნული შენიშვნა გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან და ცვლილებას არ ექვემდებარება.

გამომდინარე ზემოთქმულიდან სამსახური #2721033 28.07.2016 ბრძანებაში - მიწის ნაკვეთის სამშენელოდ გამოყენების პირობებში - მოთხოვნილ ცვლილებას ვერ განახორციელებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.